ბრიტანულ–ქართული აკადემია

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

„ბრიტანულ-ქართული აკადემიის“ დაწყებითი საფეხურის (0-5 კლასები) მშობელთა სახელმძღვანელო

2025-2026 სასწავლო წელი

ჩვენი მისია

ბრიტანულ-ქართული აკადემიის მისიაა ნდობაზე, პატივისცემასა და ურთიერთმხარდაჭერაზე დაფუძნებულ გარემოში აღზარდოს ცნობისმოყვარე, მცოდნე, მზრუნველი და ემოციური ინტელექტის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც გონივრული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეძლებენ პრობლემების გადაჭრას, ეფექტურად ადაპტირდებიან მუდმივად განვითარებად გლობალურ სამყაროში, რათა თავიანთი პოზიტიური წვლილი შეიტანონ მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნაში.

ბრიტანულ-ქართული აკადემია ლოკალური და გლობალური ფასეულობების შენარჩუნებით პასუხობს მაღალი სტანდარტის საერთაშორისო მოთხოვნებს; ხელს უწყობს მოსწავლეებს ინტერკულტურული ცნობიერების ჩამოყალიბებაში და ეხმარება მათ, გახდნენ უფრო აქტიურები, ჰქონდეთ მოტივაცია და მთელი ცხოვრების განმავლობაში მიისწრაფოდნენ თვითგანვითარებისკენ.

ჩვენი ხედვა

ჩვენი ხედვაა მოსწავლეებს მივცეთ ძირითადი სასწავლო დისციპლინების სრულფასოვანი დაუფლებისა და კრიტიკული აზროვნების, პრობლემების მოგვარების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი უნარების განვითარების შესაძლებლობა.

ჩვენი ღირებულებები

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ჩვენ გვჯერა, რომ:

განათლება დღევანდელ დინამიკურ და სწრაფცვლილებად გლობალურ სამყაროში წარმატების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა;

ყველა ბავშვს შეუძლია სწავლა. აკადემიური წარმატების მიღწევა შეუძლია თითოეულ მოსწავლეს;

- ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა;
- თითოეული ბავშვი უნიკალურია და იმსახურებს ყურადღებასა და პატივისცემას;
- განათლება ერთობლივი პროექტია. სკოლა, მოსწავლე, ოჯახი და საზოგადოება პარტნიორები უნდა იყვნენ მოსწავლის განათლების პროცესში.

მიზნები და ამოცანები

ჩვენი მიზანია, მოსწავლეები აღვჭურვოთ თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლებით, რომელიც დაეხმარება მათ სწავლის მომდევნო საფეხურებზე წარმატების მიღწევასა და საკუთარი პოტენციალის სრულფასოვან რეალიზებაში.

ჩვენი ამოცანები:

- შევქმნათ კეთილგანწყობილი, მზრუნველი და უსაფრთხო გარემო, სადაც თითოეული ბავშვი შეძლებს დამკვიდრებასა და საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვან გამოვლენას;
- მოსწავლეები აღვჭურვოთ სწავლისთვის საჭირო ყველა უნარ-ჩვევით; ხელი შევუწყოთ სამუშაო ეთიკის, ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხისმგებლობის განვითარებაში;
- მოსწავლეებს დავეხმაროთ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებასა და თავდაჯერებულობის განვითარებაში, რაც ჯანსაღი და ბედნიერი ცხოვრების აუცილებელი წინაპირობაა;

- ხელი შევუწყოთ მოსწავლეების სწავლისადმი ინტერესის განვითარებას და ავუმაღლოთ მათ მოტივაცია; თითოეული მოსწავლე აქტიურად ჩავრთოთ სწავლის პროცესში და აკადემიური მიღწევების აღიარებით წავახალისოთ ;
- კომპლექსური საკითხების გადაჭრისთვის აუცილებელი უნარების განვითარების მიზნით, მოსწავლეებს შევთავაზოთ მრავალფეროვანი პრაქტიკული სასწავლო აქტივობები როგორც აკადემიის კამპუსში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- ხელი შევუწყოთ მოსწავლეებში მრავალფეროვნებაზე, თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ღირებულებების განვითარებას, რაც ნაყოფიერი ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის საწინდარი იქნება;
- წვლილი შევიტანოთ მოსწავლეების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში;
- ხელი შევუწყოთ მშობლების აქტიურ ჩართულობას ბავშვების სასწავლო პროცესში.
- აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები განსაზღვრულია დოკუმენტით „ბრიტანულ-ქართული აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები“.

<u>ძირითადი სასწავლო დისციპლინები: საგნობრივი კომპეტენცია</u>

ძირითადი სასწავლო დისციპლინების დაუფლება მოსწავლის წარმატების აუცილებელი წინაპირობაა. ძირითადი სასწავლო დისციპლინებია ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური, უცხოური ენები, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, მუსიკა, სპორტი და ხელოვნება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ სასწავლო საგნებში ინტეგრირებული იყოს 21-ე საუკუნის ინტერდისციპლინური საკითხები, როგორიცაა:

- გლობალური ცნობიერება;
- ფინანსური, ეკონომიკური და ბიზნესწიგნიერება;
- სამოქალაქო წიგნიერება;
- წიგნიერება ჯანდაცვის საკითხებში;
- წიგნიერება გარემოს დაცვის საკითხებში;

<u>სწავლისა და ინოვაციის უნარები</u>

- შემოქმედებითობა და ინოვაციურობა (შემოქმედებითი აზროვნება, შემოქმედებითი თანამშრომლობა, ინოვაციების განხორციელება);
- კრიტიკული აზროვნება და პრობლემების მოგვარების უნარი (გონივრული მსჯელობა, სისტემური აზროვნება, განსჯა და გადაწყვეტილების მიღება);
- კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარები (კომუნიკაციის წერითი, ვერბალური და არავერბალური უნარები, კონსტრუქციული თანამშრომლობა და ჯგუფური პასუხისმგებლობა).

<u>ინფორმაციული, მედია და ტექნოლოგიური უნარები</u>

- ინფორმაციული წიგნიერება (ინფორმაციის მოპოვება და შეფასება, ინფორმაციის მართვა და გამოყენება)
- მედია წიგნიერება (მედიის და მედია პროდუქტების ანალიზი; მედია პროდუქტების შექმნა)
- ინფორმაციულ-ტექნოლოგიური უნარები (ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება კვლევის, ორგანიზების, შეფასებისა და ინფორმაციის კომუნიკაციის მიზნით).

<u>პროფესიული უნარები</u>

- მოქნილობისა და ადაპტაციის უნარი (შეფასებებისადმი კონსტრუქციული დამოკიდებულება, ცვლილებებისადმი ადაპტაცია);
- ინიციატივის და მართვის უნარი (მიზნების და რესურსების მართვა, დამოუკიდებლად მუშაობა, თვითგანვითარება);
- სოციალური და ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარი (ეფექტური ინტერაქცია, ინტერკულტურულ საზოგადოებაში ეფექტური თანამშრომლობა);
- პროდუქტიულობა და ანგარიშვალდებულება (პროექტების მართვა, ანგარიშვალდებულება განხორციელებულ ღონისძიებებსა და მიღებულ შედეგებზე);
- ლიდერობა და პასუხისმგებლობა (ხელმძღვანელობა და მართვა, პასუხისმგებლობა).

ბიბლიოთეკა

აკადემიის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ აკადემიის ბიბლიოთეკით. აკადემიის ბიბლიოთეკა მოიცავს შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურის მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან კოლექციას.

მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ბიბლიოთეკა:

- წიგნებისა და სხვა მასალების გატანისათვის;
- კითხვისთვის;
- კვლევისთვის;
- მეცადინეობისთვის;
- კომპიუტერის/ინტერნეტის გამოსაყენებლად კვლევის/მეცადინეობის/გაკვეთილის დაგეგმვის მიზნით.

მოსწავლეები ვალდებულნი არიან განსაზღვრულ დროს წიგნები/სასწავლო მასალები დაუბრუნონ ბიბლიოთეკას. წიგნების/სასწავლო მასალების დაზიანების (დახევა, ფურცელზე დაწერა და ა.შ.) შემთხვევაში, მოსწავლეები ვალდებულნი არიან გადაიხადონ წიგნის საფასური და წიგნის აღდგენის ჯარიმა.

სასწავლო დღის განრიგი დაწყებით საფეხურზე

1-ლი გაკვეთილი	08:45 - 09:30
საუზმე	09:30 - 09:40
მე-2 გაკვეთილი	09:40 - 10:25
მე-3 გაკვეთილი	10:25 - 11:10
სადილი და შესვენება ეზოში	11:10 - 12:00
მე-4 გაკვეთილი	12:00 - 12:45

მე-5 გაკვეთილი	12:45 - 13:30
სამხარი და შესვენება ეზოში	13:30 - 13:55
მე-6 გაკვეთილი	13:55 - 14:40
ტრანზიციის დრო	14:40 - 14:45
პირველი კლუბი	14:45 - 15:30
ტრანზიციის დრო	15:30 - 15:35
მეორე კლუბი	15:35 - 16:20

კლასგარეშე კლუბები

გაკვეთილების შემდეგ, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს მათი ინტერესებისა და კლასგარეშე აქტივობების ცხრილის გათვალისწინებით შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობებში, როგორებიცაა სპორტი, ჭადრაკი, მკითხველთა თეატრი, არტი და კრაფტი, გარე თამაშები და სხვა (კლასგარეშე აქტივობების კლუბების არჩევანი შესაძლებელია შეიცვალოს). კლასგარეშე აქტივობების დაწყება სექტემბრის თვეში.

კლუბები არის არჩევითი სავალდებულო ხასიათის რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მოსწავლე აირჩევს კონკრეტულ კლუბს, აუცილებელია ამ კლუბს სტაბილურად დაესწროს კლუბისთვის შესაფერისი შეთანხმებების დაცვითა და ქცევის კოდექსის გათვალისწინებით.

დაბადების დღის აღნიშვნა

მოსწავლის დაბადების დღის აღნიშვნა შესაძლებელია სასწავლო დღეებში(ორშაბათი-პარასკევი),. თუმცა, აღნიშნული არ უნდა მოხდეს გაკვეთილების, ან რომელიმე კლასგარეშე აქტივობის დროს. სკოლის დღეებსა და საათებში მოსწავლეების შენობიდან გაყვანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- დაბადების დღის პროგრამის ორგანიზატორმა მშობელმა აკადემიას ელექტრონულ ფოსტაზე **(bga@bga.ge)** უნდა შეატყობინოს მინიმუმ 1 კვირით ადრე; დაბადების დღის შესახებ მოსწავლის თანაკლასელების მშობლების ინფორმირების პასუხისმგებლობა ეკისრება აღნიშნული მოსწავლის მშობელს;
- აკადემიას მიღებული აქვს ყველა მოსწავლის მშობლის თანხმობა დაბადების დღის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;
- კლასის ყველა მოსწავლე არის მიწვეული დაბადების დღის პროგრამაზე.
- სკოლის ტერიტორიაზე არ დაიშვება ანიმატორი ან გასართობი ცენტრის პროგრამის მოყვანა.
- არ შეიძლება სანთლებისა და შუშხუნების გამოყენება.

– წინასწარ აუცილებელია საკვების შეძენისას გათვალისწინებული იყოს კლასის თითოეული მოსწავლის ალერგიები.

აკადემია არ არის პასუხისმგებელი სკოლის გარეთ ჩატარებულ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებულია მშობლის/მშობლების მიერ. მოსწავლეებს უფლება აქვთ დაარიგონ სკოლაში აკადემიის გარეთ ორგანიზებული დაბადების დღის მოსაწვევები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლასის ყველა მოსწავლე არის მიწვეული დაბადების დღის პროგრამაზე.

დაკარგული და ნაპოვნი ნივთები

მოსწავლეები სრულად არიან პასუხისმგებელნი საკუთარი ნივთების მოვლასა და პატრონობაზე. ყველა ნივთზე გარკვევით უნდა იყოს დაწერილი და მინიშნებული მოსწავლის სახელი და გვარი.
კუთვნილი ნივთის დაკარგვის შემთხვევაში უნდა მიმართოთ აკადემიის დაცვის ოფისს. სკოლის ტერიტორიაზე ნაპოვნი ნებისმიერი ნივთი, რომელზეც მოსწავლის სახელი არ არის მითითებული შეინახება აკადემიის დაცვის ოფისში.
გთხოვთ, არ გამოატანოთ ბავშვს სკოლაში ძვირადღირებული ნივთები. აკადემია არ არის პასუხისმგებელი მობილური ტელეფონების, ძვირადღირებული ნივთების, ელექტრონული მოწყობილობების და ა.შ დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში.

დასწრება

რეგულარული დასწრება და პუნქტუალურობა მოსწავლის აკადემიური წარმატების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა დასწრება და პუნქტუალურობა, აკადემიაში მოქმედებს შემდეგი წესები:

<u>დილით დაგვიანება</u>: მოსწავლეები ვალდებულნი არიან, აკადემიაში გამოცხადდნენ და რეგისტრაცია გაიარონ დილის 8:45 საათამდე. მოსწავლის მიერ სკოლაში დაგვიანების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია აკადემიის ადმინისტრაციას წერილობით ან ტელეფონის საშუალებით შეატყობინოს გაცდენის მიზეზი. აკადემია უფლებას იტოვებს მშობლის მიერ მოცემული დაგვიანების მიზეზი არასაპატიოდ ჩათვალოს. დაგვიანების საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, ასევე, უამინდობის მიზეზით ტრანსპორტის შეფერხებით მოძრაობა.

<u>გაცდენა</u>: მოსწავლის მიერ აკადემიის გაცდენის შემთხვევაში მშობელი ვალდებულია, აკადემიის წერილობით ან ტელეფონის საშუალებით შეატყობინოს გაცდენის მიზეზი. აკადემიის ადმინისტრაცია განიხილავს გაცდენის მიზეზს და გადაწყვეტს, ჩათვალოს თუ არა იგი საპატიოდ. გაცდენის საპატიო მიზეზი შეიძლება იყოს: ავადმყოფობა, ექიმთან შეხვედრა, სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა, კლასგარეშე საქმიანობაში მონაწილეობა, სასწავლებლად წასვლა, ოჯახთან ერთად დასასვენებლად წასვლა (მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და აკადემიურ დირექტორთან წინასწარი შეთანხმებით), რელიგიური დღესასწაული, სკოლიდან დროებითი გარიცხვა/დათხოვნა; და სხვა, აკადემიურ დირექტორთან წინასწარ შეთანხმებული მიზეზი.

სასწავლო პერიოდში დასასვენებლად წასვლა უარყოფითად მოქმედებს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. სკოლის აკადემიური დირექტორი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ჩათვლის ასეთი სახის გაცდენას საპატიოდ. ოჯახთან ერთად დასვენების მიზეზით საპატიო გაცდენების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს სასწავლო წელიწადში. არასაპატიო გაცდენების ათვლა ყოველ სემესტრში თავიდან იწყება.

<u>სკოლის დროზე ადრე დატოვება:</u> მოსწავლეებს არ შეუძლიათ სასკოლო პერიოდის განმავლობაში აკადემიის ტერიტორიის დატოვება. თუ მოსწავლეს სჭირდება აკადემიიდან გასვლა (მაგალითად,

ექიმთან შეხვედრის მიზეზით), მშობლებმა წინასწარ წერილობით ან ტელეფონით უნდა შეატყობინონ აკადემიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეს არ მიეცემა აკადემიიდან გასვლის უფლება.

დისციპლინა და ქცევის კოდექსი

სკოლაში უსაფრთხო და ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით აკადემიას შემუშავებული აქვს „ქცევისა და დისციპლინის კოდექსი“, რომლის დაცვაც სავალდებულოა აკადემიის ყველა მოსწავლის მიერ. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ დოკუმენტი „ბრიტანულ-ქართული აკადემიის ქცევისა და დისციპლინის კოდექსი“.

ექიმის კაბინეტი

გაცდენა და ავადმყოფობა

რეგულარული დასწრება და პუნქტუალურობა მოსწავლის აკადემიური წარმატების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. აკადემიის ტრივიალური მიზეზით გაცდენა მიუღებელია. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები არ გამოცხადდნენ აკადემიაში, თუ ისინი შეუძლოდ გრძნობენ თავს და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სკოლის რეჟიმი მათთვის რთულად ასატანია.

თუ ავადმყოფობის მიზეზით ბავშვი ვერ მოდის სკოლაში, მშობლები ვალდებულნი არიან აცნობონ სკოლას ამის შესახებ გაცდენის როგორც პირველივე, ისე მომდევნო დღეებში არ უგვიანეს დილის 9:15 საათისა. თუ ბავშვი ავად გახდება აკადემიაში ყოფნის დროს, ავადმყოფობის სირთულე შეფასდება აკადემიის ექიმის მიერ და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მშობლის ინფორმირება. თუ აკადემიის ექიმი დაადგენს, რომ ბავშვის გაკვეთილებზე დასწრება მიზანშეწონილი არ არის, აკადემია იტოვებს უფლებას უარი თქვას ასეთი ბავშვის მიღებაზე.

მშობლის გადაწყვეტილება ბავშვის სკოლაში გაშვება/არ გაშვებასთან დაკავშირებით დამოკიდებულია მის მიერ ავადმყოფობის სიმწვავის შეფასებაზე. შემდეგი კითხვები დაეხმარებათ მშობლებს მიიღონ გადაწყვეტილება ბავშვის სახლში დატოვების/აკადემიაში გაშვების შესახებ:

- ბავშვი საკმარისად კარგად გრძნობს თუ არა თავს სკოლის აქტივობების განსახორციელებლად? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ბავშვი სახლში უნდა დარჩეს.
- ბავშვის ავადმყოფობა გადამდებია თუ არა სხვა ბავშვებზე ან სკოლის თანამშრომლებზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ბავშვი სახლში უნდა დარჩეს.

ქვემოთ მოცემული მითითებები დაეხმარებათ მშობლებს მიიღონ გადაწყვეტილება ბავშვის სახლში დატოვების/აკადემიაში გაშვების შესახებ:

- ხველება და გაციება - ბავშვს, რომელიც ოდნავ ახველებს ან მსუბუქად არის გაციებული შეუძლია სკოლაში მოსვლა, მნიშვნელოვანია დადგინდეს ხველის ხასიათი და ინტენსივობა. თუ გაციებას თან ახლავს კანკალი ან მოთენთილობა, ბავშვი სახლში უნდა დარჩეს და სკოლას დაუბრუნდეს გამოჯანმრთელებიდან მინიმუმ 24 საათის შემდეგ. დასუსტებული იმუნიტიტეტის ფონზე, მნიშვნელოვანია ორი ან სამი დღე მოხდეს სახლში დაყოვნება, რადგან არ მოხდეს ახალი ვირუსის მიმღებლობა. თუ ბავშვს ხშირად და დიდხანს ახველებს, კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან, რომ დადგინდეს ხველების ტიპის განსაზღვრა.
- ტემპერატურის მომატება - თუ ბავშვს მომატებული აქვს ტემპერატურა (37.5 გრადუსი ცელსიუსი) ან ცუდად გრძნობს თავს და გააჩნია მწვავე დაავადების სიმპტომები, სკოლაში არ უნდა მოვიდეს. ბავშვი სკოლაში უნდა დაბრუნდეს გამოჯანმრთელებიდან 24 საათის შემდეგ.
- გამონაყარი - გამონაყარი პირველი ნიშანია ბევრი ისეთი ინფექციური დაავადების, როგორიცაა ჩუტყვავილა და წითელა. ბავშვები ასეთ მდგომარეობაში სკოლაში არ უნდა მოვიდნენ. თუ

ბავშვს აქვს გამონაყარი, ბავშვის აკადემიაში გამოშვებამდე აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია თქვენს ექიმთან.

- თავის ტკივილი - ოდნავი თავის ტკივილის შემთხვევაში არ არის აუცილებელი, ბავშვმა სკოლა გააცდინოს. თუ ბავშვს აწუხებს ძლიერი თავის ტკივილი, რომელსაც თან ახლავს სხვა სიმპტომები, როგორიცაა მომატებული ტემპერატურა ან მოთენთილობა, მაშინ დატოვეთ ბავშვი სახლში და კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.
- გულის რევა და ფაღარათი - ბავშვები ასეთ მდომარეობაში სახლში უნდა დარჩნენ და დაუბრუნდნენ სკოლას ავადმყოფობის სიმპტომების მოხსნიდან 48 საათის შემდეგ. მეტწილად, მსგავსი შემთხვევების დროს მკურნალობის გარეშე ხდება ბავშვების გამოჯანმრთელება, მაგრამ თუ სიმპტომები არ გაივლის, კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.
- ყელის ტკივილი - მხოლოდ ყელის ტკივილის გამო ბავშვმა სკოლა არ უნდა გააცდინოს. თუ ბავშვი თავს ცუდად გრძნობს ყელის ტკივილის გამო, მაშინ იგი სახლში უნდა დარჩეს.

ინფექციური დაავადებები

ინფექციური დაავადების შემთხვევაში, მოსწავლე არ უნდა გამოცხადდეს აკადემიაში, მანამ სანამ დაავადების ყველა სიმპტომის გაქრობიდან 48 საათი არ გავა ან ექიმი არ გადაწყვეტს, რომ სკოლაში ბავშვის მოსვლა უსაფრთხოა. მოსწავლეებმა, რომლებმაც გადაიტანეს ინფექტიური დაავადება, უნდა წარმოადგინონ ცნობა ავადმყოფობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობა ბავშვის სკოლაში ყოფნის პერიოდის დროს იჩენს თავს, განხორციელდება მშობელთან დაკავშირება და მისი ინფორმირება, მოხდება ბავშვის განრიდება სხვა მოსწავლეებისგან ისე, რომ მან კომფორტულად იგრძნოს თავი. მოავადე ბავშვის დაყოვნება ხორციელდება ექიმის ოთახში, მშობლის მოსვლამდე. ყველა ღონისძიება იქნება გატარებული, რათა ბავშვმა სკოლა უმოკლეს დროში დატოვოს. მშობლები ვალდებულნი არიან ინფექციური დაავადების შემთხვევის შესახებ აცნობონ აკადემიას, რათა შევძლოთ სხვა მშობლების გაფრთხილება და ინფექციის შესაძლო გავრცელების თავიდან არიდება.

ინფექციური დაავადებების ბავშვებზე ან აკადემიის თანამშრომლებზე გადადების რისკის მინიმუმამდე დაყვანისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი წესების დაცვა:

ავადმყოფობა	**სკოლის დატოვების მინიმალური პერიოდი**
ჩუტყვავილა და მწავე ჰერპესი	5 დღე გამონაყრის დაწყებიდან.
კონიუქტივიტი	თვალიდან გამონადენის შემთხვევაში, 24 საათიანი მკურნალობის ჩატარებამდე და თვალის მორჩენამდე.
ფაღარათი და გულის რევა	ფაღარათის ან გულის რევიდან 48 საათი.
გერმანული წითურა ან წითელა	5 დღე გამონაყრის დაწყებიდან და მანამ, სანამ ბავშვი თავს უკეთ არ იგრძნობს.
ტილები	ბავშვი სკოლაში შეიძლება დაბრუნდეს მკურნალობის დასრულების შემდგომ. წინასწარ აუცილებელია აცნობოთ სკოლას ამის შესახებ.
კანის გამონაყარი	მას შემდეგ რაც გამონაყარი ჩაქრება ან 48 საათიანი ანტიბიოტიკებით მკურნალობის შემდეგ, როცა ბავშვი თავს უკეთ იგრძნობს.

ყბაყურა	გლანდების შეშუპებიდან 7 დღის შემდეგ და მას მერე, რაც ბავშვი თავს უკეთ იგრძნობს.
მუნი	ბავშვი სკოლაში შეიძლება დაბრუნდეს მკურნალობის დასრულებიდან ერთი დღის შემდეგ.
ქუნთრუშა	ანტიბიოტიკების მიღებიდან 48 საათში და მას მერე, რაც ბავშვი თავს უკეთესად იგრძნობს.
ჭიები	ბავშვი სკოლაში შეიძლება დაბრუნდეს მკურნალობის დასრულებიდან ერთი დღის შემდეგ.
მეჭეჭი	არ არის საჭირო ბავშვმა სკოლა გააცდინოს. დაშვებულია ცურვის გაკვეთილებზე დასწრება, თუ მეჭეჭი დაიფარება წყალგაუმტარი პლასტირით.
ყივანახველა	ანტიბიოტიკების მიღებიდან 5 დღის შემდეგ ან 21 დღის მერე თუ სამედიცინო მკურნალობა არ იქნება ჩატარებული.

<u>პირველადი სამედიცინო დახმარება</u>

აკადემიაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. თუ ბავშვი ავად გახდება აკადემიაში ყოფნის პერიოდში, აკადემიის ექიმი დაუკავშირდება მშობელს. უბედური შემთხვის დროს, აკადემიის ექიმი შეაფასებს დაზიანების სიმწვავეს და გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და/ან სასწრაფოს გამოძახება. ნებისმიერი სახის დაზიანების ან უბედური შემთხვევის შესახებ დაუყონებლივ ეცნობება მშობელს, რის შემდეგაც მშობლები ვალდებულნი არიან გადაიყვანონ მოსწავლე აკადემიიდან სახლში ან სამედიცინო დაწესებულებაში. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ავადმყოფობა/დაზიანება სერიოზულია და მოითხოვს სასწრაფო რეაგირებას, აკადემია უფლებამოსილია არ დაელოდოს მშობლებს და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო დახმარების გამოძახებისა და ბავშვის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება მშობლებს.

მშობლები ვალდებულნი არიან, სახლის/მობილური ტელეფონის ნომრების გამოცვლის შესახებ დაუყოვნებლის აცნობონ აკადემიას.

<u>მედიკამენტები</u>

აკადემიაში არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტები და მოწყობილობები. მცირე ტკივილისა და მსუბუქი დაავადების შემთხვევაში, ურეცეპტოდ მედიკამენტების გაცემამდე, აკადემიის ექიმი დაუკავშირდება მშობელს. თუ სკოლა ვერ შეძლებს მშობელთან დაკავშირებას და ავადმყოფობა მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას, წამლების გაცემა მოხდება აკადემიის ექიმის გადაწყვეტილებით.

იმ შემთხვევაში, თუ აკადემიაში ყოფნის პერიოდში ბავშვისთვის აუცილებელია მედიკამენტის მიღება, მშობლები ვალდებულნი არიან აკადემიის ექიმს მიაწოდონ მედიკამენტები პირველად შეფუთვაში. შეფუთვაზე მითითებული უნდა იყოს წარწერა (მედიკამენტის დასახელება და დოზა) და მოქმედების ვადა. მშობლის პასუხისმგებლობაა, რომ მედიკამენტი არ იყოს ვადაგასული. წამლების გაცემა და შენახვა უნდა მოხდეს აკადემიის ექიმის კაბინეტში.

ექსკურსიები

ბრიტანულ-ქართული აკადემია რეგულარულად უწევს ორგანიზებას გასართობ და შემეცნებით ექსკურსიებს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ექსკურსიები ხშირ შემთხვევაში თემატურად დაკავშირებულია სასკოლო პროგრამასთან და მიზნად ისახავს მოსწავლეთა კულტურული ცნობიერების ამაღლებას, მოსწავლეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესებას და სკოლის საზოგადოების ერთ გუნდად შეკვრას. ექსკურსიები შესაძლებელია დაიგეგმოს სასწავლო კვირის დღეებში.

იმისათვის, რომ ჯგუფი გაემგზავროს ექსკურსიაზე, აუცილებელია მშობლ(ებ)ის თანხმობა, რომელსაც ნებართვის ფორმაში უნდა მიუთითონ წერილობით. ნებართვის ფორმას კლასის მხარდამჭერი მასწავლებელი წინასწარ გამოატანს მოსწავლეს სახლში.

კვება/კაფეტერია

ბრიტანულ–ქართულ აკადემიაში ფუნქციონირებს კაფეტერია. მოსწავლეები კაფეტერიაში იკვებებიან სკოლამდელი განათლების ცენტრისთვის განკუთვნილ დროში (30 წთ). მშობლებს წინასწარ ეგზავნებათ ყოველი კვირის მენიუ, შესაბამისად, საშუალება გაქვთ თვალი ადევნოთ რას მიირთმევს თქვენი შვილი დღის განმავლობაში. თუ მენიუში არის ისეთი კერძი/პროდუქტი, რომელსაც თქვენი შვილი არ ჭამს, შეგიძლიათ ამ დღისთვის საკვები თავად გამოატანოთ, რომელსაც მოსწავლე მიირთმევ კვების დროს კაფეტერიაში.

რაც შეეხება დილის კვებას, პირველი გაკვეთილის შემდგომ 09:30-ზე მოსწავლეები მიირთმევენ სახლიდან წამოღებულ საუზმეს. ეს შეიძლება იყოს ჯანსაღი სენდვიჩი, ბოსტნეული, ხილი ან სხვა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სკოლაში აკრძალულია ტკბილეულის მოტანა. მოტანილი ტკბილეული მოსწავლეს ჩამოერთმევა და დაუბრუნდება სასწავლო დღის ბოლოს.

14:30 საათზე აკადემია მოსწავლეებს სთავაზობს სამხარს სადაც შეთავაზებულია ჯანსაღი სნექი და სეზონური ხილი და ბოსტნეული.

კომუნიკაცია

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში მშობლებთან კომუნიკაციის რამდენიმე ფორმა არსებობს:

- **Seesaw - ელექტრონული დღიური** - ელექტრონული დღიურის საშუალებით მშობლებს შესაძლებლობა აქვთ ყოველდღიური მონიტორინგი გაუწიონ შვილის სწავლის პროცესს. მოსწავლის პროფილი შეიცავს ინფორმაციას მოსწავლის ყოველდღიური აქტივობების, საშინაო დავალებებისა და მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ.
- **კლასის მშობლების Whatsapp ჯგუფი** - თითოეულ კლასს მარტივი კომუნიკაციისთვის აქვს მშობლების Whatsapp ჯგუფი, სადაც მასწავლებლები აგზავნიან მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელსაც უნდა გაეცნონ მშობლები. მშობელს ასევე შეუძლია კლასის მობილურ ტელეფონზე მოწერა და დარეკვა ნებისმიერი მისთვის სასურველი საკითხის ირგლივ.
- **წერილები** - პერიოდულად აკადემია აგზავნის წერილებს სკოლის ღონისძიებების, ახალი ამბებისა თუ სხვა საკითხების შესახებ მშობლების ინფორმირების მიზნით. გთხოვთ, რეგულარულად შეამოწმოთ თქვენი შვილის ჩანთა/ელექტრონული დღიური.

- **სატელეფონი ზარები** - გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით აკადემია შესაძლებელია დაგიკავშირდეთ ტელეფონის საშუალებით. სახლის/მობილური ტელეფონის ნომრების გამოცვლის შემთხვევაში, გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ აკადემიას და კლასის დამრიგებელს ამის შესახებ.
- **ღია კარის დღე** - ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აკადემია ატარებს ღია კარის დღეს, სადაც მშობლებს საშუალება აქვთ შეხვდნენ სხვადასხვა საგნის პედაგოგებს, გაეცნონ სკოლის სასწავლო გეგმას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.
- **მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები** - აკადემიური წლის განმავლობაში 2–ჯერ მშობლებს საშუალება აქვთ ინდივიდუალურად შეხვდნენ თითოეულ მასწავლებელს და მიიღონ ინფორმაცია მათი შვილის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ. ინდივიდუალური შეხვედრების თარიღს ადმინისტრაცია წინასწარ ატყობინებს მშობლებს.
- **დამატებითი ინდივიდუალური შეხვედრები** - იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის აკადემიური მდგომარეობა და/ან დისციპლინა საჭიროების მშობლების დამატებით ინფორმირებას, საგნის მასწავლებელი და/ან კლასის კოორდინატორი ინდივიდუალურად დაუკავშირდებიან მშობელს.

სკოლასა და მშობლებს შორის ღია და მუდმივი კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია. საჭიროების შემთხვევაში მშობელს შეუძლია დაუკავშირდეს მასწავლებელს/აკადემიის ადმინისტრაციას ტელეფონის, ელექტრონული წერილის საშუალებით, ან შეხვდეს ინდივიდუალურად.

1. თუ თქვენ კითხვები გაქვთ თქვენი შვილის აკადემიური მოსწრების, ყოფაქცევის ან სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით, უმჯობესია მიმართოთ საგნის მასწავლებელს ან კლასის დამრიგებელს. საგნის მასწავლებლის/დამრიგებლის საკონტაქტო ინფორმაცია და მიღების საათები მითითებულია შესაბამისი საგნის სილაბუსში.
2. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ვერ შეძელით მასწავლებელთან/დამრიგებელთან ან საფეხურის ხელმძღვანელთან გასაუბრების შემდეგ კონკრეტული საკითხის გარკვევა/მოგვარება ან გაქვთ ზოგადი სახის კითხვები სკოლასთან დაკავშირებით, გთხოვთ მიმართოთ აკადემიის ნომერზე - 0322 251 253. აკადემიურ დირექტორთან შეხვედრის დანიშვნა შესაძლებელია ტელეფონით ან აკადემიის ადმინისტრაციაში.
3. სხვა მოსწავლეთა ყოფაქცევასა და/ან ქმედებებთან დაკავშირებით სკოლის ინფორმირების საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ კლასის დამრიგებელს. იმ შემთხვევაში, თქვენ ვერ შეძელით მასწავლებელთან/დამრიგებელთან გასაუბრების შემდეგ კონკრეტული საკითხის გარკვევა/მოგვარება, გთხოვთ დაუკავშირდეთ აკადემიის ადმინისტრაციას.
4. სკოლის წესებთან და რეგულაციებთან, ნებისმიერ ადმინისტრაციულ და საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ მიმართოთ აკადემიის ადმინისტრაციას.

<u>საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილება</u>

იმისათვის, რომ დროულად შევძლოთ მშობლების ინფორმირება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, აკადემიას ჰქონდეს თითოეული ბავშვის სწორი საკონტაქტო ინფორმაცია. სახლის/მობილური ტელეფონის ნომრების და/ან მისამართის გამოცვლის შემთხვევაში, გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ აკადემიას და კლასის დამრიგებელს ამის შესახებ.

მშობელთა ქცევის წესი

აკადემია მოწესრიგებული და უსაფრთხო სკოლაა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, აკადემიის პერსონალსა და მშობლებს შორის ურთიერთობა დამყარებული იყოს ურთიერთპატივისცემაზე და იმის გაცნობიერებაზე, რომ მშობლები და სკოლის თანამშრომლები ვიზიარებთ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა კეთილდღეობასა და აკადემიურ განვითარებაზე. მშობლების ჩართულობა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების უზრუნველყოფისა და პრობლემების ადრეულ ეტაპზე მოგვარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ზოგიერთი მშობლის ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს აკადემიისთვის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა ან აგრესიული ქმედება სკოლის თანამშრომლების მიმართ. აკადემია ვალდებულია დაიცვას სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოება.

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება ჰქონდეს მოლოდინი, რომ სკოლა არის სწავლისა და მუშაობისთვის უსაფრთხო ადგილი. შესაბამისად, ძალადობა, მუქარა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, უხეში და საშიში ქცევა თანამშრომლების ან სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების მიმართ დაუშვებელია.

აკრძალული ქმედებებია უხეში საუბარი, მუქარა, ფიზიკური ძალადობა, დაშინება, სასამართლოსა ან პოლიციაში ჩივილის დაუსაბუთებელი სიტყვიერი ან წერილობითი მუქარა, ყვირილი, უცენზურო/სალანძღავი სიტყვების გამოყენება, აკადემიის ინვენტარის დაზიანება, არამართებული იმეილები/წერილები და სხვა ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც აზიანებს როგორც სკოლის მოსწავლეთა, ასევე, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა ინტერესებს და ამასთან, აკადემიის რეპუტაციას.

მშობლის მხრიდან მსგავსი ქმედების შემთხვევაში, აკადემია ვალდებულია გაატაროს ყველა საჭირო ზომა თანამშრომლებისა და მოსწავლეების უსაფრთხოების დაცვის მიზნით. სანქციები დამოკიდებულია ინციდენტის სიმძიმეზე და შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

1. მშობლის წერილობითი გაფრთხილება აკადემიური დირექტორის მიერ;
2. მშობლისთვის აკადემიაში შემოსვლის/დაშვების შეზღუდვა.

საჭიროების შემთხვევაში, აკადემიამ შეიძლება მიმართოს შესაბამის ორგანოებს, როგორებიცაა: პოლიცია, სასამართლო და/ან შესაბამის საელჩოს.

უსაფრთხოება

მოსწავლეთა უსაფრთხოება აკადემიის ერთ - ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მოსწავლეების, მშობლების და თანამშრომლების აკადემიაში შემოსვლა და გასვლა ფიქსირდება ელექტრონული რეგისტრაციის სისტემით. მოსწავლეებს შენობის დატოვება შეუძლიათ მხოლოდ გაკვეთილების დასრულების შემდეგ. გაკვეთილების დასრულებამდე მოსწავლეებს სკოლიდან გასვლა შეუძლიათ მხოლოდ აუცილებლობისა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების შემდეგ.

აკადემიაში უცხო პირთა შემოსვლა აკრძალულია აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ნებართვისა და სპეციალური საშვის გარეშე. აკადემიის ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ აკადემიის ადმინისტრაციას.

აკადემიის ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი სახის ცეცხლსასროლი იარაღის, ცივი იარაღის ან სხვა საშიში ნივთის შემოტანა, განთავსება ან/და ტარება. აღნიშნული აკრძალვა ვრცელდება ნებისმიერ პირზე:

- მოსწავლეებზე;
- აკადემიის თანამშრომლებზე;
- მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებზე;
- სტუმრებსა/ვიზიტორებსა და ნებისმიერ სხვა მესამე პირზე;

ზემოაღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს აკადემიის ტერიტორიაზე გადაადგილების შემთხვევა (ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში).

პირადი დაცვის სამსახურის თანამშრომლის (პირადი მცველის) მოსწავლის თანხლების თაობაზე აკადემიის ადმინისტრაცია წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული და პირადი მცველის აკადემიის ტერიტორიაზე გადაადგილება კოორდინირებული უნდა იყოს აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურთან. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის პირადი დაცვის თანამშრომელი (პირადი მცველი) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ატარებს იარაღს, იგი ვალდებულია აკადემიის ტერიტორიაზე შესვლამდე იარაღი თავადვე შეინახოს აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ოთახში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ განცალკევებულ და უსაფრთხო ადგილზე (სპეციალურ საცავში - სეიფში), აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის ზედამხედველობის ქვეშ და უზრუნველყოს აღნიშნული სეიფის ჩაკეტვა. სეიფის ჩაკეტვის შემდგომ, აკადემიის ტერიტორიის დატოვებამდე, გასაღები რჩება თავად პირადი დაცვის სამსახურის თანამშრომელთან (პირად მცველთან). აკადემიის ტერიტორიის დატოვების შემდგომ, პირადი დაცვის სამსახურის თანამშრომელი (პირადი მცველი) ვალდებულია აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის ზედამხედველობის ქვეშ სეიფი გაათავისუფლოს მის მფლობელობაში არსებული იარაღისგან, ხოლო გასაღები დაუბრუნოს აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს და დატოვოს აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ტერიტორიაც.

აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს პირადი დაცვის სამსახურის თანამშრომლის (პირადი მცველის) მიერ ზემოაღნიშნული პროცედურის განხორციელებაზე კონტროლს, სპეციალური საცავის უსაფრთხოებასა და საკეტის ხელშეუხებლობას სხვა არაუფლებამოსილი პირების მიერ.

ზემოაღნიშნული პროცედურული წესის დარღვევის/დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, შესაბამის პირს აეკრძალება აკადემიის ტერიტორიაზე შესვლა და ინფორმაცია გადაეცემა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

ფსიქოლოგის სამსახური

აკადემიაში ფუნქციონირებს ფსიქოლოგის სამსახური, რომელიც მიზნად ისახავს: ა) მოსწავლეზე ორიენტირებული, მზრუნველი და მხარდამჭერი გარემოს ფორმირებას, ბ) მოსწავლის პიროვნული, შემოქმედებითი და კომუნიკატიური რესურსების განვითარებას, გ) ჯანსაღი სასწავლო და

სააღმზრდელო გარემოს შექმნას, დ) სხვადასხვა კონტექსტის ფსიქო-სოციალური რისკების დროულ გამოვლენას/იდენტიფიკაციას, მათი პრევენციისა და მართვის სტრატეგიის შემუშავებას, ე) აკადემიაში ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის ფორმირებას.

თუ თქვენ გსურთ ფსიქოლოგის სერვისით სარგებლობა, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კლასის დამრიგებელს. საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგი და კლასის დამრიგებელი, მშობელთან თანამშრომლობით შეიმუშავებენ ინტერვენციის გეგმას მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

ქცევის მართვის წამახალისებელი სისტემა - მხიარული ლომები

ჩვენ გვჯერა, შექება და ჯილდო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა დადებითი ქცევის წახალისებასა და აღიარებაში. ჩვენ ვაჯილდოებთ იმ მოსწავლეებს, რომლებიც იზიარებენ აკადემიის ღირებულებებს, (IB) მოთხოვნებს და CARE პრინციპებს.

მოსწავლეები ჯილდოვდებიან მონეტებით, როგორც გაკვეთილებზე, ასევე გაკვეთილებს მიღმაც. აკადემიის ყველა მასწავლებელს/ასისტენტ-მასწავლებელს აქვს უფლება, მისცეს მონეტა იმ მოსწავლეებს, რომლებიც გამოავლენენ პოზიტიურ ქცევას როგორც საგაკვეთილო, ასევე არასაგაკვეთილო პერიოდებში.

როდის და როგორ გაიცემა მონეტები:

წითელ მონეტებს გასცემს საგნის მასწავლებელი მაღალი აკადემიური მიღწევისთვის, ჩართულობისა და შრომისთვის.

ყვითელ მონეტებს გასცემენ ასისტენტ-მასწავლებლები არასაგაკვეთილო პერიოდებში (მაგ., დასვენებებზე, კაფეტერიაში, ეზოში და ა.შ.) შეთანხმებების ზედმიწევნით დაცვისთვის.

საკლასო პრიზები:

კლასის დამრიგებელი და ასისტენტ-მასწავლებელი განსაზღვრავენ თავიანთი კლასისთვის შესაბამისი ფერის მონეტების მისაღწევი შედეგის სამ დონეს. შესაბამისი დონისთვის საკმარისი მონეტების დაგროვების შემთხვევაში კლასი ერთობლივად იმსახურებს პირველ, მეორე და მესამე პრიზებს ეტაპობრივად.



შეფასების სისტემა

ბრიტანულ-ქართული აკადემიის დაწყებითი საფეხურზე შეფასების სახით გამოყენებულია როგორც განმავითარებელი შეფასება, ასევე შეფასება ორი კომპონენტით - მიღწევა და მცდელობა. განმავითარებელი შეფასება ემსახურება მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და წარმატებების გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასების დროს მოსწავლე, მასწავლებლის გამოხმაურებისა და კომენტარების დახმარებით, მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც საკუთარი სწავლის გათვითცნობიერებაში ეხმარება. მასწავლებლის მიზანია: ასწავლოს მოსწავლეს, როგორ ისწავლოს (სწავლის სწავლა) და, ამავე დროს, მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის სასწავლო საჭიროებების შესახებ, რათა დაეხმაროს მას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. განმავითარებელი შეფასება ემსახურება სწავლების დარეგულირებას - დაგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თითოეული მოსწავლისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას.

შეფასების მეორე ნაწილი როგორც ზემოთ აღინიშნა, ითვალისწინებს აკადემიური პროგრესის ორი მიმართულებით შეფასებას - მიღწევის დონე და მცდელობა (attainment and effort). ეს მოდელი სრულად იმეორებს კემბრიჯის კურიკულუმის ფორმატს და წელიწადში ორჯერ რეპორტების სახით ეგზავნება მშობლებს მენტორების მიერ. რეპორტი მოიცავს როგორც თითოეულ საგანში ორი კომპონენტის შეფასებას, ასევე მენტორის კომენტარს მოსწავლის სოციალური და ფსიქო-ემოციური დინამიკის შესახებ.

მე-5 კლასებში მეორე სემესტრიდან შეფასების ფორმა 6-10 კლასების კემბრიჯის პროგრამის ექვივალენტურია.

ორ კომპონენტიანი შეფასების აღწერილობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1-დან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მოსწავლეები ფასდებიან ორი კომპონტნტის მიხედვით: მიღწევის მაჩვენებელი და მცდელობა.

მიღწევის მაჩვენებელი ზომავს მოსწავლის მიმდინარე აკადემიური ცოდნის დონეს შემდეგი განაწილებით: 1) Exceeding the expected level - აღემატება მოსალოდნელ შედეგს - (E) 2) Meeting the expected level

- აკმაყოფილებს მოსალოდნელ შედეგს - (M) 3) Working towards the expected level საჭიროებს მეტ ძალისხმევას - (W) 4) Not applicable არ ეხება - (N/A).

მცდელობის მაჩვენებელი ზომავს მოსწავლის ინიცირების დონეს, რამდენად ცდილობს გააუმჯობესოს აკადემიური მიღწევები. ეფასება შემდეგი განაწილებით მოქმედებს: 1) Excellent შესანიშნავი - (E) 2) Good - კარგი - (G) 3) Satisfactory - დამაკმაყოფილებელი - (S) 4) Poor - გასაუმჯობესებელი (P)

ჩაცმის კოდექსი

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში სავალდებულოა სასკოლო ფორმის ტარება. ფორმის გარეშე მოსწავლე არ დაიშვება გაკვეთილებზე.

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებში მონაწილეობისათვის მოსწავლეებმა თან უნდა იქონიონ სპეციალური სპორტული ფორმა და ფეხსაცმელი. მოსწავლეებმა აღნიშნული ფორმა უნდა ატარონ მხოლოდ შესაბამისი გაკვეთილის დროს. დაუშვებელია სპორტული ფორმით სხვა გაკვეთილებზე დასწრება.

ცნობები/დოკუმენტაცია

ცნობების, ნიშნების ფურცლის ან სხვა სასკოლო დოკუმენტაციის მიღების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ აკადემიის ადმინისტრაციას მინიმუმ ერთი კვირით ადრე. რეკომენდაციისათვის გთხოვთ მიმართოთ შესაბამისი საგნის მასწავლებელს მინიმუმ 3 კვირით ადრე.